

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბუთო განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმების გარდა, დღის 9—3-მდე. ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენტების სულ არ იხილება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მიხილობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисть, редакция „Сакартвело“, поч. ящик № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრუქტურის წიგნი 10 კაპ., კავახისი გარეშე წიგნი 15 კაპ., კავახისი გარეშე წიგნი 20 კაპ., ტექსტი 1 გვ. ელირება 40 კაპ., 4-ზე 20 კაპ., ტექსტი 1 გვ. სამკლოვიარო განცხადება თითოჯერ ზოთი 15x2 ღირს 5 მ.; 20x2 ღირს 7 მ.; 25x2 ღირს 8 მ.; 3 საათის შემდეგ (მიღება მხოლოდ ა. კალანდარის სტამბაში) ელირ. პეტრ. დასაბუთების 10 ღირს უფლებანი 10 კაპ.

კვირას, 6 გორგოლისთვეს, დიდუბის ეკლესიაში, გარდაცვალებიდან ექვსი თვის თავზე, დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულ მეოსან

იროდიონ ისაქის კე
ევლო შვილ-ხოსიგა შვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით იუწყება განსვენებულის ქვრივი მარიამ ხოსიგა შვილისა შვილებით.

დეკანოზი ლაზარე ტურიაშვილი შვილებითურთ ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქალაქ სიღნაღში, გორგოლისთვის 4 ს, გარდაიცვალა დაუფიქარი ასული მისი

თამარ ლაზარეს ასული
და ფქვიანა ფქვილისა

განსვენებულს დასაკრძალავად მოასვენებენ თბილისში, დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. (1-236-1)

ნინო დიმიტრის ასული და ფქვიანა შვილისა, მიხეილ და ალექსანდრე და ფქვიანა შვილებისა და მუხომე მისი და ფქვიანა შვილისა მართა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქალაქ სიღნაღში, გორგოლისთვის 4-ს, გარდაიცვალა დაუფიქარი საშვილო მისი და ფიქარი რძალი და მეორეის—მეორეის მხლის ცოლი

თამარ ლაზარეს ასული
და ფქვიანა ფქვილისა

განსვენებულს დასაკრძალავად მოასვენებენ ქალაქ თბილისში, დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. (1-236-1)

ნაფიცი ვეკელი გიორგი დიმიტრის ძე და ფქვიანა შვილი ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქალაქ სიღნაღში, გორგოლისთვის 4-ს, გარდაიცვალა დაუფიქარი საყვარელი მეუღლე მისი

თამარ ლაზარეს ასული
და ფქვიანა ფქვილისა

განსვენებულს დასაკრძალავად მოასვენებენ ქალაქ თბილისში, დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. (1-236-1)

ახალი კლუბის
მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ რადგან კვირას, 30 ამა ღვინობისთვის, დანიშნულია არხეოლოგ-ისტორიკოსის თევდორე დავითის ძე ყორაძისის გვამის დაკრძალვა, ამისა გამო ამ დღისთვის დანიშნული ახალ კლუბის წევრთა საგანგებო კრება გადაიდო

ექვსი გორგოლისთვისთვის; დღის 12 საათზე. კრება ჩითვლება კანონიერადა, რამდენი წევრც უნდა დაესწროს. განსახილველია: მიმდინარე კითხვები და შედეგ მისიარულთა არჩევანი. (3-295-3)

ხარფუხის საზოგადო კლუბი
გადავიდა საზამთრო შენობაში,
გიხეილის პროსპექტზე, № 163.

კვირას, 6 გორგოლისთვეს,
სიგევიანი ორკესტრი
ბ. სინკევიჩის ლტობაობით. (1-235-1)

ქ. ქუთაისში ახლად დაარსებული
„საპროფიტო ნოვოს სასოფლო-სამეურნეო და
სამრეწველო საზოგადოების“

საორგანიზაციო კომისია

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებული საზოგადოება დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალი 1917 წლის 1 იანვრიდან; წევრების მიღება კი დაიწყება მდგომარე წლის 7 ნოემბრიდან.

ვისაც სურს საზოგადოების წევრად ჩაწერა, განცხადებით უნდა მიმართოს კომიტეტის წევრს—ხაზინდარს ა. მ. კრინიციუს, ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩაზე, შვიდ-ქვის მრეწველთა საბჭოს სადგომში, და თან შეიტანოს იმ კრედიტის 10%, რომლის განსხვავებაც თხოვლობს. (2-233-2)

ქ. თბილისში დასრულდა
ველნის პარკის
„კლასიკური“

ამჟამად საუკეთესო საქანცელარო ველანს, ალიზარინის ფერისა

პირველხანად ქარხანა გახსნის მელანს ორ-ორ გორგანქან ბოთლებით. ლაზარეთის სამხედრო დაწესებულებაში შედგამათ დათმობათ.

მელანი ახლის გადახადება (კაპროვკა) კარგია.
დაკრძალვა დაუპროცესად სრულდება
ადგილობრივ თუ გავაზნით.

მისაგარეთ: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „კლასიკური“.
(თ.—228—თ.)

კვირას, 6 გორგოლისთვეს, დღის 12 საათზე
ახალ კლუბის საპროფიტო დარბაზში
ი. ვ. ვარტაგაძე
წაიკითხავს ლექციას არ განუფიქრებლად:

„მთა მღვიმელი და ბავშვთა სამყარო“

გარჩეულ იქნება შ. მღვიმელის ნაწერები, რაც ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში დაბეჭდილია ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

ბილეთების ფასები: ექვსი შაურიდან მანეთამდე.

უპაან პარკის პოლიტიკა

არ შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხი გულგრილი იყოს პოლიტიკური საკითხებისადმი. პირიქით, პოლიტიკურ მსჯელობას ხშირად შეუფერებლად დიდი ადგილი უჭირავს ჩვენს აზროვნებაში. მაგრამ, რადგან ჯანსაღი ეროვნული პოლიტიკის საწარმოებლად სათანადო ასპარეზი არ გვაქვს, არც საკუთარი საკანონმდებლო დაწესებულება გვაქვს და არც აღმასრულებელი მართებლობა, პოლიტიკური შეგნება და წარმართული და დაუძღვრებელია ჩვენში. ერთადერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა საქართველოში პრესაა, მაგრამ პრესა, სამწუხაროდ, იშვიათად სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე. ქართული პერიოდული გამოცემის უმეტეს შემთხვევაში პარტიული დოგმების გამოკრეკვას უნდობიან, ცხველებს პოლიტიკურს, ეკონომიკურს და კულტურულს საკითხებს კი მცირედ ადგილი აქვს მიწევნილი.

მეათეწელს ესაოგება ის დრო, როცა ქართულ პრესაში ცხარე კამათი წარმოიჭრება იმ მთავარ მნიშვნელოვანი და ღრმა-აზროვანი საკითხის გარშემო, თუ რომელი ტაქტიკა უფრო სწორია, რუსის სოციალდემოკრატიის შემრავლსობისა თუ უმცირესობისა და ესის უკეთესებად პარტიული წესდების პირველი მუხლის პირველი აზრაც—ბ. ლენინს თუ ბ. მარტოვს? დღეს ეს კამათი ოდნავ დამცხროლია. სამაგიეროდ ჩვენს გაზეთებში ხშირად იბეჭდება დაუსრულებელი, უმი და მწილად მოსანელებელი ტრაქტატები იმის შესახებ, თუ რა უფრო კეთილმსყოფელია მსოფლიოათვის კონტრაქტში თუ დეცენტრალიზში, ფედერალიზში თუ ავტორიტეზში? თავისთავად ცხადია, რომ ასეთ ტრაქტატებს დღეს არ ძალუძა პოლიტიკური შეგნების განაყოფიერება და განმტკიცება, როგორც საშუალო საუკუნოებში სარწმუნოებრივი შეგნების განაყოფიერება და განმტკიცება არ შეეძლო სქოლასტიკ კამათის იმის შესახებ, თუ რადენი ანგელოზი დაეტივა ქრისტიანის წიგნით.

მაგრამ პარტიული მართლმადიდებლობა მხოლოდ ერთი მხარეა ჩვენი თანამედროვე ეროვნული ცხოვრებისა. მეორე კიდევ უფრო დასაგმობი მხარე პოლიტიკური ქვეყნობისაა. თუ პირველის ასპარეზი ქართული ენა-გაზეთობაა, თუ ის ნიღაბ ახლილი მაინც გამოდის ცხოვრებაში, მეორე ფარულად და უსახისმებლოდ მოქმედობს, მისი მოქმედების ნაყოფი კი შეიძლება ხშირად უგებური, ან მწარედ საგებელი აღმოჩნდეს მთელი

კურ შეგნებას შევიტანო და გაგამტკიცებო. ჩვენ პარტია ხალხი ვართ და ჩვენი ორი მილიონი ხმა თავისთავად ბევრს არაფერს წარმოადგენს მსოფლიოში. მაგრამ დღეს თვით მსოფლიოში შეიჭრა და ახალი იდეების მიხედვით იცვლება. ასეთ მდგომარეობაში ჩვენც შევიძლია მოვიტხოვოთ ჩვენი პარტია წილი ბედნიერებისა. მაგრამ ამისთვის შეგნებულად, წინადადებულად და მწყობრად მოქმედება სჭირია. მაგრამ უწინარეს ყოვლისა სჭირია იმ შეგნების განმტკიცება, რომ ჩვენი სამშობლოს ბედს დროებითი მართებლების უნდა და ახირებაზე როდია საგნებით დამოკიდებული: ის გადასაბრუნებელია მხოლოდ საერთაშორისო ინტერესებში, რომელნიც ამ ბოლო დროს კიდევ უფრო მჭიდრო და გავლენიანი გახდნენ. ეს ნათლად სჩანს ცხოვრების წერილობაში: როცა, მაგალითად, ვერდენსა ან ჰერმანშტადთან რუსის მოკავშირეები უკან იხევენ, თბილისელი მოქალაქის მანეთს ფასი ეკარგება და შედგენე მას ნაკლებ საკონტინენტს აძლევს ჩერქეზიშვილისა თუ წყნეთის ქუჩაზე. ასეთი წერილობა ფაქტების განსაზოგადობა და გაშუქება, მათი ღრმა აზრის გამოკრეკვა პრესის უპირველეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს. ეს ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას ვიწრო ბილიკებიდან ფართოდ გაშლილ ასპარეზზე გამოიყვანს.

გ. ლელიანი.

კავშირისათვის

შვიდი თვეა, ქართველთა კულტურულ-განმანათლებელთა საზოგადოებათა კავშირი მოქმედებს: სასოებით მივიგებეთ მის დაარსებას; წესდების ძალით, კავშირის დედა-აზრია—ქართველი ხალხის კულტურისა და განათლების საჭიროებათა ყოველმხრივი შესწავლა და მათს დასაქმოფილებლად სათანადო ზომების მიღება... საკულტურო კავშირის სულის ჩამდგენლის, ექვთიმე თაყაიშვილის სახელმძღვანელო სიტყვა—განმარტებით კავშირი ქართულ საზოგადოებრივობის სინტეზი უნდა ყოფილიყო, კერძო საზოგადოებრივობისათვის მიუღწეველი საქმეთა განმარტოვებელი და ქართველი ერის საერთო აზროვნებისა და მისწრაფებათა გამომხატველი. „საქვეყნო ქართველობა რომ არ აღგვევაოს, მჭიდროდ შეკავშირება გვმართებს, თუ ჩვენ მთავარ საკითხებში ვერ შევთანხმდით, ვერც რასმე თვალსაჩინოს მიგაუწყებო... როგორც უფლები ახალი ერს, არა გვაქვს თვითმართებლობა... არ მოგვემოვება ისეთი დევე-

ო მის ა მ გ ე ბ ი

ბრძოლის ველზე

ვლახეთის ბრძოლის ასპარეზი უკანასკნელ დღეებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. გენ. ფალკენჰაინის უფროსი ძალები აქტიურად გადმოვიდა და მრავალ მძიმე ზარბაზნების დახმარებით სამივე მთავარ მიმართულებით სასტიკათ უტრეს. პრედელათი, კომპოლენგით და მდ. თეთრი რუმიწელები ველარ უმაგრდებიან მოპირდაპირეს და იძულებულნი ხდებიან სიმაგრეები დასტოვონ. გენ. მინდელ ოფიციალ დეგეზის ცნობით, რუმიწელებს ბედ. ეთუზე მიუტოვებით სოფ. ტირგულ და ეთულო, სოფ. ტირგულად რკინის გზის შტო იწყება და მიდის კრაიონში თვით სოფელი 30—35 ვერსით მოშორებული ავსტრიის საზღვრებთან. რაკი სოფ. ბუმბეშტის აღების შემდეგ, ავსტრიელები ბარად დაეშვნენ, სოფ. ტირგულს ბედ. უკვე დაეწვეტილი იყო. თუ რუმიწელებმა ვერ შესძლეს ეს სტრატეგიული მიმართულება დაიბარუნონ, მაშინ თვით ორმოცი მიმქმედი ჯარი გაჭირებაში ჩავარდება. საქმე მით უფრო რთულდება, რომ გენ. ფალკენჰაინის ახლა უკვე ჯარების ფართოდ გაშლის საშუალება მიეცა და ისიც აღარ

დახანნებს შესაფერისად გამოიყენოს ძალთა განწყობილება. კომპოლენგის მიმართულებითაც, რუმიწელები აგრეთვე იძულებულნი გახდნენ სოფ. ლორეში დაეტოვებინათ და უკან სიმაგრეებზე გადასულყვენენ. სწორედ ამ მიმართულების შესახებ იყო ნახსენები მთავარ შტაბის გუმიწინდელ დებეშაში, ავსტრიელები აუარებელი მძიმე ზარბაზნებით სარგებლობენო. ჩვენთვის ეს ცნობა საკმაო იყო და ვარწმუნებულყვენათ, თუ რა მკვიდრად დამყარებულან ავსტრიელები ამ ფრიალ მნიშვნელოვან მიდამოში. მძიმე არტილერიის ხმარება ბრძოლის პირზე საზოგადოდ, მით უმეტეს მთაში, ყოველთვის მომასწავებელია იმისი, რომ მოპირდაპირე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სწორედ ამ ხაზს და განზრახავს აქვს მთავარი შეტევა ხსენებულ მიმართულებით აწარმოოს. უკანასკნელ დებეშაში ავი ნ-ხსენებია, რომ რუმიწელებმა დასტოვეს სოფელი და უკან დაიხიესო. გენ. ფალკენჰაინის მას შემდეგ, რაც მან ტრანსილვანიის ოლქების ქედი გადმოიხა და ვლახეთში შემოიჭრა, სამი მიმართულებით უპირველესად სამ სტრატეგიულად ადგილს ემუქრება. ორმოცი პეტრე-ოლოფშტი. ორმოციის საკითხს სწევრებს მდ. ეთუზე გამოსული ავსტრიელების რაზმი.

გარეკლები

ჩვენი ქალაქი

„ჩვენი ქალაქი—ჩვენი თბილისია!“ ამას ვამბობდით, ამას ვამბობდით დღესაც.

არც გვსურს, რომ „ჩვენი“ ამოიშალოს მის გვერდიდან.

ჩვენი იმედი, რომ... გადაშლეთ ისტორია, ინებეთ საბუნებრივად.

ათასი გოდონა, ათასი გულის ძაფით ნაქსოვი სიტყვა გაქვივის, სიხლით ამოწმებს ამ ნათქვამს, რომ ის ჩვენი!

ნანგრევი... უსულო ქვაბი... წარსული და აწმყო ამას ამოწმებს, აღასტურებს...

არ აღსატურებენ მხოლოდ მეზობლები... სასაპარეზოდ გამოდიან.

საპოლიციო ისრები მოწმობენ.

წინააღმდეგში გვარწმუნებენ, რომ ჩვენი, სწორედ არაა ჩვენი, რომ ქალაქი... მათია!

„უმრავლესობა ჩვენ ვართ...“

„გაჭრება ჩვენი...“

ერთად ვართ მომრეწვენი და აღებ-მიცემობის უნარი მხოლოდ ჩვენ შეგვრჩია...

ჩვენ შევადგენთ ქალაქის სიცოცხლის ძარღვს...

„უჩვენოდ შესდგება დღეილი...“

„ქალაქი ვეღარ იქალაქებს...“

კიდევ სხვა საბუთი? რამდენიც გნებავთ.

წარსულიც კი თურმე მათს მხარეზეა.

ისტორია ამართლებს მათს ასეთს კამათს.

იძიებენ და ქვეშ თავისებურად აღადგინებენ...

ლამისა ვახტანგ გორგასლანი ვართან გორგასლანად მიიწოდონ.

ვინ ვის აჯობებს, არ ვიცით.

ვინი ღილია...

მედა უკეთესი... საქმე კი თვისით მიღის.

ქალაქი ჩვენი ფაქტობრივად, მართლაც, არ ჩვენობს...

არა იმედი, რომ მათი გახდა... არა...

სულ სხვაა მიზეზი...

გუშინდელი და დღევანდელი სტატისტიკური ცნობები ნათელსა ჰყოფენ მიზეზთა მიზეზს!

რამდენი ვიყავით ჩვენ? რამდენი იყვნენ ისინი? რამდენს შევადგენდნენ ჩვენსა და მათს გარეშე მცხოვრები „უცხო ელემენტები“?

როგორის ინტენსივობით ვიზრდებით ჩვენ, ისინი, ანდა „უცხონი“?

პასუხი მარტივია: გუშინდელი რაღაც ათასიან მცხოვრებელს ჩვენი თბილისი დღეს რამდენიმე ასი ათასიანად გარდაიქცა.

გავიზარდეთ ჩვენ. გავრდილან ისინიც... არითმეტიკულ პროპორციითაა ორივეს ზრდა.

სამაგეროდ „უცხონი“... გაუმრავლეს პროპორციით გავრდილან...

კიდევ ოცი, ორმოცი წელი და ჩვენი ქალაქი მილიონ მცხოვრებელს ქალაქად იქცევა.

რამდენს მილიონს შევადგენთ სულ ჩვენ?—ისინი?

და რომელ ორ-სამ მილიონიან ერსა აქვს მილიონ მცხოვრებელი დედა ქალაქი?

ვინ იქნება მაქსიმუმ ჩვენსა და იმათ მცხოვრებელთა ზემოდ შემდგარი მცხოვრებელი?

რა თქმა უნდა, ისე „უცხონი“! და ეს ასე იქნება, ვიღერ...

„უცხონი“ უმალეს მთავრობის ცენტრად იფუნქციონებს ჩვენი ქალაქი.

ფოკუსი ქალაქის ზრდისა, ფოკუსი ცვალებადობის, ფოკუსი მისი ჩვენიდან არ ჩვენად გარდაქმნისა სწორედ ესა!

შესცვალეთ ცენტრი და შემდეგ იდგეთ თუ ვისია ჩვენი ქალაქი: მანამდე კი...

ჩვენი, არ იქნება ჩვენი... ჩვენსას ვერც ისინი დისაკუთრებენ...

ყოველდღიური მისი გახდება... „უცხო“ პანისა...

ქართული

თავიდან უკრავს

განმარტების დავაზე

საბარბა-რუხა: (ნოვოროდის გუბერნია) შემწეობა დაუფიქრებელი ისტორიკოსის და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის თეოდორე ყორდანის გარდაცვალებამ. გიზარებ სამშობლო ქვეყნის გლოვას და ვეგდებთ უფალსა განსვენების მიცვალებულის სულსა.

არქიმანდრიტი ამბროსი.

ზამბათა: გულწრფელად ვსტორით საქართველოს ღირსეულ შვილის, პედაგოგისა და ისტორიკოსის თეოდორე ყორდანის გარდაცვალებას.

ზაქათაის ქართველთა.

მშობლისი. ქუთაისის სამღვდლოება ჰგლოვებს ისტორიკოს თეოდორე ყორდანის გარდაცვალებას და ლოცულობს მისის სულის განსვენებისათვის.

კეთილმოწმე დუგლაძე.

თიბაძე: წ. კ. გამაგრც. საზოგადოების მეთაურობით ყოფილ სამღვდლო პაროსნა მრავალ მლოცველთა თანადარწმუნებით გადახდა პანაშვიდი ისტორიკოსის თ. ყორდანის სულის მოსახსენებლად.

გამგეობა.

ფოთი: ჩვენის ძვირფას მასწავლებლის თეოდორე ყორდანის გარდაცვალებამ უზომოდ დაგვაშურა. ასეთის ნიჭიერი არქეოლოგის და განსწავლულ ისტორიკოსის დაკარგვა დაალონებს გველა მოყვარულს საქართველოსას. ვეგდებთ უფალსა წმიდათა თანა განსვენების მისს უმანკო სულსა.

დღევანდელი ზამბათი, კეთილმოწმე კალანდარიშვილი, მდივანი მარტაგრაძე, კეთილმოწმე ბ. თაღუა.

ზამბა: ბანძისა და მოსამზღვრე სოფლების მკვიდრნი, მათის სკოლების მასწავლებლები და მოსწავლენი მწარედ იგლოვან სასტიკდულ მამულიშვილის, სამშობლოსა და სამშობლო ენის ორმად მოყვარულს, მეცნიერებათა, სასწავლებლებით და მალაზნიეობით შემკულის, ისტორიკოს-არქეოლოგის თეოდორე ყორდანისა უდიდესი დავისა, ნეტარება ჩვენი საყვარელ თედოს უმანკო სულს. გადავიხდეთ პანაშვილები.

დღევანდელი ან. კეკელია, თ. დ. კიქია ფაღვა, ფილ. ვახუშია, რ. პატარაია.

კამბაძე: ქართველთა საერთო მწუხარებას ვუერთებთ ჩვენს გლოვას თვალსაჩინო ისტორიკოს-არქეოლოგოსის, დაუფიქრებელი თეოდორე ყორდანის გარდაცვალების გამო.

ისონ დორთქიფანიძე, ბ. კახიძე, ალ. დუშაძე, დავ. ხორტაძე, გრ. ლომინაძე.

თიბაძისი: მეორე საკომერციო სასწავლებლის კორპორაცია თავისი სამხმარის უხედავს თეოდორე ყორდანის გარდაცვალების გამო, მისს შეილება.

ბონი: ვგლოვობთ საქართველოს არქეოლოგის დაუმაშვრელ მკვლევარის და სამშობლო ენისთვის უმეზარ ქომავის თეოდორე ყორდანის გარდაცვალებას.

წიგნივამე.

თბილისის მესამე შენახველ-გამსესხებელმა საზოგადოებამ, ნაცუთი ქუჩის შესაქვბ გვირგვინისა, 50 მ. გადასაც თ. ყორდანისა დამკრძალვ კომიტეტს.

ქ. შ. წ.-კ. გაგავრცელა-ბელი საზოგ. 1915 წლის ანგარიში (გაგრძელება).

საზოგადოების განყოფილებანი.

საანგარიშო 1915 წლის დამდგეს საზოგადოებას ჰქონდა 31 განყოფილება: ალაგირსა (თერგის ოლქი), ახალციხესა, ბათუმსა, ბაქოსა, ბორჯომსა, განჯასა, გორსა, გუდაუთსა, დუშეთსა, ერევანსა, ვანსა, ზუგდიდსა, თელავსა, კავკასიას, ლიხაურსა, ონსა, ოზურგეთსა, სამტრედიასა, სიღნაღსა, სენაკსა, სოჩხასა, სოხუმსა, ტუაშესა, ფოთსა, ქვემო მაჩხანსა, ქუთაისსა, ყვირილსა, ცხინვალსა, კიათუასა, ხიდისთავსა, და ხონსი. წლის განმავლობაში საზოგადოებას მოემატა 2 განყოფილება: არმავირსა და ლანჩხუთსი.

განყოფილებათა შორის ქონებრივის ძალდონით პირველი ადგილი უჭირავს ბაქოს განყოფილებას, რომელსაც წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონდა 13,898 მან. 92 კაპ. მეორე ადგილი უჭირავს კავკასიის განყოფილებას, რომლის საანგარიშო წლის შემოსავალი უდრის 7,587 მან. 18 კაპ. ამას

მიჰყვება ზუგდიდის განყოფილება, რომელსაც შემოსავალი 3,288 მან. 01 კაპ. შემდეგ სოხუმის განყოფილება, რომელსაც შემოსავალი 3,252 მან. 11 კაპ. და სხ. ყველაზე უფრო ღარიბია ფოთის განყოფილება, რომელსაც საანგარიშო წლის განმავლობაში შემოსავალი 209 მან. 02 კაპ. ამას მიჰყვება განყოფილებანი ლანჩხუთისა, ალაგირისა, ქვემო მაჩხანისა, ახალციხისა და სხ. წვერთა რაოდენობით ქუთაისის განყოფილება პირველი ადგილი უჭირავს, იმას ჰყავდა საანგარიშო წლის ბოლოს 354 წვერა, მაშინ როდესაც ბაქოს განყოფილებას იმავე დროს ჰყავდა 209 და კავკასიას 299 წვერი, მაგრამ ქუთაისის განყოფილების ფინანსური მდგომარეობა არ ვიცით, რადგან თავისი ანგარიში არ წარმოუდგენია მთავარი გამგეობისათვის.

საზოგადოების წევრნი

საანგარიშო 1915 წლის 1 იანვარს საზოგადოებას ჰყავდა სულ 3,045 წვერი, რომელთა შორის იყვნენ: საპატრიო 7, დამფუძნებელი 8, ნამდვილი 3,030 კაცი. საანგარიშო წლის მიღებულ იქმნენ: თბილისში 235 და განყოფილებებში 447 კაცი. წლის განმავლობაში დააკლდა 245 წვერი. წლის დასასრულს ირიცხებოდნენ: საპატრიო 7, დამფუძნებელი 8, ნამდვილი 3,471, სულ 3,482 წვერი.

გამგეობა და სარევიზო კომისია.

საზოგადოების თავმჯდომარეა გ. ყაზბეგი, რომელიც ამ თანამდებობაზე არჩეულია 1908 წლის 9 მარტს. თავმჯდომარის ამხანაგია დ. გ. კარიკაშვილი, რომელიც არჩეულია ამ თანამდებობაზე 1914 წლის 24 ქრისტეშობისთვის, ხოლო გამგეობის წევრად ითვლება 1892 წლიდან. გამგეობის წევრებად არიან: ლ. გ. ბოცვაძე 1908 წლიდან, გ. ს. რტიბიძე 1908 წლიდან, შ. ხ. დედბერიშვილი 1911 წლიდან, გ. მ. ლახიშვილი 1914 წლიდან, ამავე წლიდან ი. ზ. გიორგობიანი, ქ-ნი ნ. ი. ნაკაშიძე, პ. ლ. კიკელია, შვილი, კ. ი. ნინიძე, ი. ზ. ვართაგვი, ბ. ი. ცინცაძე და ვ. ს. მუსხელიშვილი.

რადგან ბ-ნმა კ. ნინიძემ თანამდებობას თავი დაანება, მის ადგილს გამგეობის წევრად მიწვეულ იქმნა 1915 წლის 5 მაისიდან კანდიდატი თ. გ. კიკელია.

სარევიზო კომისიის წევრებად არიან: ა. ს. ლულაძე 1895 წლიდან, დ. მ. ბუბუჩიშვილი და ე. გ. ავალიშვილი იმავე წლიდან. ამ კომისიის შესახებ, 1915 წლის 12 ქრისტეშობისთვის არჩეულ იქმნენ: დეკ. ნიკიტა თალაგაძე და ბ-ნი გ. გორდენიანი.

საზოგადოების ხაზინადრად და უმრავლეს შემოსავლის გამგედ არჩეულია გ. მ. ლახიშვილი, საქმის მწარმოებელია (პედიანი) ვარ. ა. ბურჯანაძე, ხოლო ბიბლიოთეკისა და სკოლების მეთვალყურეა გრ. ი. ბურჯულაძე.

საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობას ჰქონდა 58 სხდომა და გაარჩია 431 საქმე. ამ სხდომებზე თავმჯდომარეობდა გ. მ. ყაზბეგი 21 ჯერ, დ. გ. კარიკაშვილი 81 ჯერ, ხოლო დარჩენ 6 სხდომაზე—გამგეობის წევრები.

ყველაზე უფრო გულმოდგინება გამოუჩინა დ. გ. კარიკაშვილს, რომელიც გამგეობის 56 სხდომას დასწრებია და გამოუტოვებია 2 სხდომა. ამ მხრივ მეორე ადგილი უჭირავს ქ-ნი ნინო ნაკაშიძეს, რომელიც დასწრებია 53 სხდომას და გამოუტოვებია 2. ყველაზე მეტი გულრილობა ეჩვენება ვ. ს. მუსხელიშვილს, რომელიც დასწრებია მხოლოდ 10 სხდომას და გამოუტოვებია 48.

დავა-სოფლები

სოფ. ხიდისთავი (გურია). ეს სოფელი სავაჭრო პუნქტია შუა გურიაში. აქაური მცხოვრებლები, მამულის სიღვიწროვის გამო, ზოგნი ვაჭრობას მისდევნიან და ზოგნიც სხვა და სხვა ქალაქებში არიან დაფარული სამუშაოდ. ხალხი მეტიმეტად სუფთა და ფაქიზი და წერა-კითხვის უცოდინარს ქალსა თუ კაცს თითქმის ვერ შეხედებოთ. საოცარია, რომ აქაურ მოძრავ და ფიზიკურ ხალხს, გარდა ერთი სამრეგლო სკოლისა, საერთო სასწავლებელი არ ჰქონია; აქაური ბავშვები ბასილეთის ორკლასიან სასწავლებელში დადიან. ესლა ეს ნაკლი შეესტეულა ჩაითვლება: ხიდისთავი, ბასილეთი და ჯვარცხნის სამამასახლოსო ერთად შეთანხმდნენ, შეიძინონ ბ-ნ სოი ბერიძისაგან 10,000 სანედი ადგილი 10 თასი მანეთად და გადასწყვიტეს

დააარსონ ხიდისთავში პირველად წყობითი ოთხკლასიანი უმაღლესი სასწავლებელი აგრონომიული განყოფილებით. სკოლისათვის სახლი სხვა მრავალი სასკოლო მასალა უკვე შექმნილია. 1,000 მანეთი ობიექტის ხაზინაშია შეტანილი სასწავლებლის შენახვის უზრუნველსაყოფად.

ამ დღებში სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა იყო სოფლის მიერ საგანგებოდ არჩეული დეპუტაცია, რომელსაც შედიოდნენ მღ. პავლე ლომთათიძე, სილოვან კეკელიძე და ბ-ნი კ. თავართქილაძე და ამ დეპუტაციამ სოფლის სახელით სთხოვა ნებართვა აღნიშნულ სკოლის გახსნის შესახებ. მზრუნველმა სათხოვარი მოისმინა, დიდხანს ესაუბრა დეპუტაციის წევრებს და ყოველივე დახმარება აღუთქვა, როცა ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციისაგან საქმის ქაღალდები მივიღებო, ერთ დღესაც არ დაეყოვნებ საქმის, განუცხადა დეპუტაციის მზრუნველმა. ესლა მთელი ხიდისთავი, განურჩევლად წლოვანებისა, მოუთმენლად მოეხსენებარათვის მიღებას და სკოლის კარების გაღებას.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო ზანდიაშვილი

ექიმი
ზონ-ირტალი
(მხიელივის პრისპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოპანეშოვისა).

მოსკოვის სახანო ნაგავდამყოფი
ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაპრობისა, საზარდ მისისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საზარდ მისის დაფიქრება), სქესობრივი უძღურებისა, სიმსივნისა, კრილოვისა, ბუასილისა, თერთანისა, საზარდ ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დღის 9/1-დან 1 საათამდე და ნაშუადღევს 5-9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეხვედრები

საქირაა მუშები
რაინის ბზის საშუაოთ
მსურველთ შეფქლიანთ მიმართონ მიხაილოვის ქ. № 109. ფორტოგრაფი. (4 382-3)

გოლოვინის პრ. და ხამხედრო ქუჩის
კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი ავთიაძი
პროფ. გოლოვინის ახმხედრებისა

მ. ი. შანაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ-ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-ღის გარდა საღამოს 5-7 საათამდე, ხელისნის ქ. № 4. (თ.—202)

მ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღ საღამოს 6-7 ს., კვირდღ დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტ-ცელის გვერდით. ტელფ. 15-00.

მთავრობის მკვლევარი
მ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5-7 საათ. მისამართი: კუთხე კრილოვის და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიციალური ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელფონი № 5-77.

დოქტორი მადვიანი
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კიდელთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს საღამოს 6-7 ს. ოლღის ქ. № 3.

პირველი საინსტრუქორი კამბოჯიანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატაბრო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

ფახები უფლებათვის ხელმისაწვდომია

საუზმე	ჩაი
სადილუმი	შაშა
ვახუშტის	ხაზაპური
	პირატობა

ადგილობრივი და უცხოური ხაჭაპურები, კარაქი, გამოცდილ მწარეუღის ხელმძღვანელობით.

პეტრისკინთა ხაღ. ს. გიგინეია.



„ეკონომი“
ქუჩის ზღის პირდაპირ.

„სანდრო“
მოსკოვის ნომრების მქონე, შტაბის ძუხა.

გოგურობილია ვარკაიულ პირ.
ველ ხარისხიან რესტორან-გის მსგავსად. საზოგადოებრივი ვარკაიულ პირს და ალ. გილოვანის. უმჯობესად: ხარკო, დომი, საცივი, ხაზაპური, „პირატობა“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახუშტი. მიუხედავად სანოვანის სიმპირისა, „ეკონომი“ სადილუმი ახლად იაფია. გამოსცდილი მხარკრული სადილს კარგით ამაჯავებს.

სასადლოში არის ნარდი და გილიარდი

პეტრისკინთა „კაფე-პარიზის“ წინააღმდეგ მწარმოებელი (თ. 253) დიმიტრი ურ. მიხიბინია და ნ. მ. მუხატაური

ღვინის საყუბი

ნიკო გ. სესიუვილისა

ყუბი ბელაჯარდ ფახებში საუბოგო ნამდვილი

კახური ღვინო

განთავს ქუჩა № 4.

სახლი სათავად-მწარეო ბანკისა. (185-წ.)

ნიღუღი, მადნაღი წყლის მმარბელი საზოგადოების ჯანთე-ლომის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვთ და მან ურამელთვის მხოლოდ ლალიკის და ამ-ს კარ-მითხოვანი ხნის საუბა-

თისი ხილულ მდნულს ნამდვილი სამშურანდო წყალი და გავურთობილენ, მის ყალბ მიმამდველებს, რომელთა რიცხვი ერთობ განზიზღულია და მზირად შეცდომაში შეყავთ, მმარბელი საზო-გადოება, თავინათ დაბალი ნაწარმოების შალში ეტყვიტების მიმ-სგავსებით ნამდვილი ლალიკის წყლის ეტყვიტის ნიშნი შემდგეო



ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია საევირო სამრეწველო მინისტრის მი-ერ პეტროგრაღში და თვით პრობკებისა აწერია

„ლალიკის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლალიკის წყალია მომზადებული ხრულიად უფებელის მაღალი ღირებების მასალებისაგან, ნამდვილი და საუ-კეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გამოც სააშური აქვს

საუბათესო კახური

ღვინის საყუბი

აღამ უზრავის პის

ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი. (102-წ.)

თავის მრავალნი

მ. მ. მუხაძე

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „მ. მადნაღის-წმობი, სმ-მრეწველობიდან ახალი ქვირითის მასალადა, მკირე მარილიანი, შავი „მწ-მწიანი“ ხილიადა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის წითლი, თართი, ფარვა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარაქიქებ-რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.